+ 5

პ რ ო ე ქ ტ ი

განკარგულება №---

2021 წლის -----სექტემბერი

ქ. წყალტუბო

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა მ. ზერაძე

შეთანხმებულია მ. შალამბერიძე

6094

5

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

6088

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

## დ ა ს კ ვ ნ ა

### წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2021 წლის 24 სექტემბრის კომისიის სხდომაზე განიხილა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი ანგარიში, რომელზედაც კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
მურმან შალამბერიძე

6089

წერილის ნომერი:**49-49212501**
თარიღი: **07/09/2021**

**ადრესატი:**

მურმან შალამბერიძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

თავმჯდომარეს ბატონ მურმან შალამბერიძეს

ბატონო მურმან,

*წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს-* **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-** II **კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ", კომისიის სხდომაზე განსახილველად.**

მაია ბერაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სრტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მოვალეობის შემსრულებელი)

6090

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წყალტუბო

წერილის ნომერი: **48-4821246110**
თარიღი: **03/09/2021**
პინი: **9054**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

გიგზავნით ანგარიშს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი „2“ ფურცლად,

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

6091

# ანგარიში
# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხორციელდებოდა სამსახურეობრივი დებულებითა და კანონით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება. როგორც მოგეხსენებათ 2020 წლის დასაწყისში საქართველოში გავრცელდა ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექცია და დაწესებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ მისი აღმოფხვრის მიზნით შესაბამისის რეკომენდაციები და შეზღუდვები, ზედამხედველობის სამსახური დასაწყისიდანვე აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში და მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე მოქმედ სხვადასხვა საქმიანობის მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ადგილზე მისვლით აცნობდა და წერილობით აწვდიდა აღნიშნულ რეკომენდაციებს. ასევე, მიმდინარეობდა მონიტორინგი აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით. ახალი რეგულაციების შესაბამისად სამსახურის მიერ შემოწმებული იქნა და მუშაობის დადებითი რეკომენდაცია მიეცა მუნიციპალიტეტში მოქმედ 17 სასტუმროს. ასევე, ხდებოდა ბაზრის კვლევა და რეგულირება, რათა პანდემიით გამოწვეული კრიზისის გამო, პირველადი მოხმარების საგნებსა და სურსათზე თვითნებურად არ გაზრდილიყო ფასები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ზოგადი რეკომენდაციები შესრულების მიზნით განხორციელდა 33 საჯარო სკოლის შემოწმება და მათთვის რეკომენდაციების მიცემა, რათა უსაფრთხოდ დაწყებულიყო სწავლის პროცესი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, მეორადი ავტონაწილებით მოვაჭრეთა მიმართ პერმანენტულად ტარდებოდა უკანონო გარევაჭრობის, გარემოს დაბინძურების, იერსახის დამახინჯების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ლოკაციებზე ტარდებოდა დასუფთავების აქციები COVID-19-ის რეგულაციების სრული დაცვით (5 ივნისი - მსოფლიო გარემოს დღე, 22 მარტი - წყლის საერთაშორისო დღე, 18 სექტემბერი - მსოფლიო დასუტავების დღე, 22 აპრილი - დედამიწის დღე, 26 სექტემბერი - მსოფლიო მდინარეების დღე).

ზედამხედველობის სამსახური, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება"–სთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან დასუფთავების მოსაკრებლების ამოღების ღონისძიებებში. საანგარიშო პერიოდში ადგილობრივ ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 206 482 ლარი (2020 წელი - 150 155 ლარი, ხოლო 2021 წლის I-II კვარტალი - 56 327).

ასევე, აღნიშნულ პერიოდში, სამსახურის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა სამშენებლო სამართალდარღვევების გამოვლენა და მათ წინააღმდეგ კანონით განსაზღვრული ქმედების განხორციელება. სამშენებლო სამართალდარღვევები გამოვლენილ იქნა - 2 ქალაქ წყალტუბოში, 2

6092

სოფელ მაღლაკში, 2 სოფელ ქვიტირსა და 1 სოფელ ბანოჯაში. 3 სამართალდამრღვევის მიმართ ადმინისტრაციული საქმისწარმოება შეწყდა, მითითების აქტში აღნიშნული დარღვევების გამოსწორების გამო, დანარჩენების მიმართ კი, გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული სახდელი, ჯარიმის სახით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აღნიშნული ღონისძიებებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 8 100 ლარი (2020 წელი - 2 400 ლარი, ხოლო 2021 წლის I-II კვარტალი - 5 700).

ზედამხედველობის სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა კომუნალურ სამსახურთან, რაც შესაძლებელს ხდიდა ოპერატიულად აღმოფხვრილიყო სხვადასხვა კომუნალურ ქსელზე წარმოშობილი დაზიანებები.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი მ.შ. შოთა ნუცუბიძე

6093